

# ლიცენზირებული საშუალო



საშურის მუნიციპალიტეტის ბაზეთ „საშურის მოამბის“ ღამათემა  
№5, 10 ივნისი, ორშაბათი, 2024 წელი

 ერთი ლექსი

\* \* \*

ცხრა მზითაც რომ გვასხივებდნენ,  
რა უფლებით ვგრილებთ და ვჯანმრთელობთ?! –  
თუ გრძნობ, ტაოს გამსხვისებელს,  
მკლავი ძირში რომ გიხმება,  
ქ ა რ თ ვ ე ლ ო!!!  
დავას როგორ დაგინყებენ,  
მათქმევიწინე საუფლოდ და სათემოდ, –  
დედაენის დამვიწყებელს,  
ხვალ-ზეგ დედა გეტირება,  
ქ ა რ თ ვ ე ლ ო!!!  
ვიცი, კვლავაც გააჩუქებ სავენახეს –  
სამზეოს და სართველოს...  
არის კიდევ სხვა საუნჯე,  
ვიდრე შენი საქართველო,  
ქ ა რ თ ვ ე ლ ო?!  
იქნებ გული აღარ გერჩის,  
ნაოხარო,  
ნატანჯო და  
ნათმენო, –  
რატომ გიკვირს, ქართველებში  
ქართველი რომ ქართველობდეს,  
ქ ა რ თ ვ ე ლ ო?!  
თვალეზს ვითხრი, თუმც არ მძინავს,  
თქვი, უშენოდ  
მწუხრი სად გავათენო, –  
ერთი დედის შვილები ვართ,  
ვაი, ხომ არ გავინყდება,  
ქ ა რ თ ვ ე ლ ო?!  
არც რა ტყვიით,  
არც რა შხამით, –  
დუმილითაც შეგიძლია გამთელო,  
ისე მომკალ, რომ სხვამ მაინც  
არ გაიგოს,  
შენ რომ მომკალ,  
ქ ა რ თ ვ ე ლ ო!

მონის თოქსიშვილი



# პოეზია

## ჩემო მამისო



ნუსა ჩიუცაძე - 20

შემომეგებე, მამისო,  
რომ გული გავიხალისო,  
მონყურებული თვალები  
მიდამოს ცქერით აივსოს.  
კაბით შემმოსე, მამისო,  
ყვავილთა შესამკობელით,  
თითქოს სატკობად მელისო,  
ვარდობის თვისას, სოფელი.  
განუყრელნი ვართ მამისო,  
ყოველ წელს ფერხთით მეგები  
და მენატრები მაინცო, –  
ცოტა ხნით დარჩე, ეგები.  
შენ ჩემში მუდამ მამისო,  
ამ სატრფიალო დროებით,  
მშვიდად შევხვდები დაისსო,  
ოცნებით სავსე გონებით.

### მოსულა გაზაფხული

კიდევ ერთხელ შევიგრძენი გაზაფხული  
და ამ თითებს ეფაქიზა ყვავილები,  
საპოვნელა ც ბალახებში მიპოვნია,  
იმ ზღვისფერი, რომ შემთბარა ალღევებით.  
ბილიკებად დამფენია ქორფა ია,  
სიყვარულის სული ირგვლივ ცოცხალია,  
მკერდში სითბო ახლად დაგუბებულია,  
ხეს რომ სცვივა, თითქოს ნაზი ბუმბულია.  
ნუთუ რამეს მოასწავებს ალტაცება,  
როცა ნამის წვეთი ფოთოლს დაეცემა,  
გაზაფხულმა განაახლა პულსის ცემა,  
არ დაგტოვებს ის, რაც შენგან გაიცემა.

### შენთან მალული

ამიხდენ ოცნებებს, რომ ჩამოგინერო?  
მომიტან მწკრივებად აწყობილ აგატებს?  
ისევ აქ დაგიცდი, ბუნების კუნჭულში,  
დაგიცდი, ამ თვალებს თუ სხივით აანთებ...  
არ ვიცი, დროება რა ხიფათს დამმართებს,  
გაღებულ კარიბჭეს რა ბოქლომს დაადებს,  
თუ მოხვალ, გამიცნობ, ნარჩევი მომენტით, –  
იცანი ცოტათი შეშლილი პოეტი.  
მე აქ ვარ, ჩრდილივით კედელზე გაკრული,  
თუ ღამეს აივნის კიდედან გასცქერი,  
ის ჩქამი ისმინე, მყუდრო ხმას რომ არღვევს,  
არ მოდის, არ გიხმობს და ხელსაც არ გახლებს.

### ნეტარო ნინო!..

დიდო წმინდანო, დედაო ნინო,  
მომეცი ძალა, კვლავაც ვითმინო...  
ნაფლეთ-ნაფლეთი ძველი ლოცვანი  
ღმერთმა მაღალმა კვლავ შეისმინოს.  
აკურთხე ქართლი, ნეტარო ნინო,  
გადმოგვადგარე ბარძიმით ღვინო  
და ერსა ჩვენსა ჯვარი დასწერე,  
არ დაგველიოს რათა სალხინო.  
კვლავ დაარბიე ახალი კერპი,  
არ იყოს გმინვა, არც ერთი კენტი,  
შენი ცრემლების წყაროს ვიგემებთ,  
რად გვინდა შეება, ამაზე მეტი...  
მეც დამაქვს შენი დაწნული ჯვარი,  
ის შემაშველე, თუ გაჩნდა ჯვარი.  
შენ სულიწმინდის ამღერე ქნარი,  
შეკრიბე რწმენით აღვსილთა ჯარი.

## სამყაროს პატარძალი

გაზაფხულს წააგავს პატარა ქალბატონი,  
ნაზი, ხელებქორფა, ზოგჯერ გაბუტული,  
მარწყვივით ტკბილი და რტოდ აყვავებული,  
მარტივით ცელქი, ნაპერწკალანთებული.  
ქალი – ივნისი და... ზაფხული არნახული,  
თითქოს ახალგაზრდა, მაინც ჭირნახული,  
ნაყოფმოსხმული და მხევალი სიყვარულის...  
მჩქეფარე ჩანჩქერი და მგოსანი მინახული.  
ქალი შემოდგომა, მზით დაღვინებული,  
ვაზის ცრემლმდინარე, თან გაღიმებული,  
ის ქალობს თუ შეძლო ცხოვრება ღირსეული  
და თუ შვა მარგალიტი, ვისთვის ღირებული.  
ყინვით მოლაპლაპე ქალი, ვით ზამთარი,  
თოვლით მონახერი ჭაღარით შენაფერი,  
სითბოთი ვერ აღვსილი, სულ კარგადებული,  
ზოგჯერ თვალმღიმარი, ხან მივიწყებული.  
ის არის ძვირფასი, მთის ბროლი, ცისთვალი,  
ვინც მიისაკუთრებს, ედება მას ვალი.  
ქალი სიძლიერე, სინმინდის სადარი,  
თვლებით შესამკობი, სამყაროს პატარძალი...

### თავისუფლება სიყვარულშია

თავისუფლება, სულის კურნება საძებარია,  
ჯვრით დასაცავი კვლავ საქართველოს ვაკე-ბარია,  
სამშობლო – უფალს, ერთმანეთი ჩვენ გვაბარია,  
თუ რამ ბზარია საძირკველში, ჩვენი ბრალია!  
კვლავ შევებით სუნთქავ, დედა-მამულო, თავისუფალო,  
შენს შვილებს გვინდა, ერთგულება შემოგითვალთ.  
ჩვენ თუ რამ შევძლოთ, კაცთა ძალით, არ დავივალთ,  
შენ შეინირე მონასტერთა ლოცვა, უფალო...  
საკუთარ სიტყვას, ჩვენებურ ხმას მსოფლიოს ვანვდენთ,  
მემატიანე ახლა სხვაფერ მომავალს დანერს,  
თავისუფლება სამშობლოს და ადამიანებს,  
თავისუფლება ხომ სიყვარულს არ აგვიანებს.

### მელოდია

გულში ჩაგინახე, როდესაც გინატრე,  
ნოტებად დაგღვარე გიტარის სიმებზე,  
პოემად დაგწერე, შემორჩი ქალაღდზე,  
თუმცაღა ძველი დრო დღემდე ვერ გავწელებ.  
რაც კი მელოდია შობილა ამქვეყნად,  
ყველაში გისმენ და სულ ჩემი მგონია,  
არც ერთი მათგანი უკვალოდ არ ქრება,  
უგრძნობლად არც ერთი არ გამიგონია.  
გავყვები უწყვეტად და გულით ვიმღერებ,  
დარჩება ჰაერში და სხვასაც იერთებს,  
ბულბული სიმებზე ყელს რომ მოიღერებს,  
შეარხევს ნიავე არფაზე თმის ღერებს...

### გზა მომავლისა

თითქოს არ ყოფილან, ის დღეები ჩემს უკან რბიან,  
ორად გაყოფილა, ზოგი ადრე და ზოგი გვიან.  
წლები გაჰყოლია ერთი მიმდევრობით, ვინც სადმე გყოლია,  
ზოგი მოგყოლია, ზოგიც გაფრენილა, ვით თეთრი თოლია.  
ანმყოს აივნიდან ძველ დროს გადავყურებ და ასე მგონია,  
ცხოვრებას წარსული, ვითარცა ზღაპარი, გამოუგონია,  
თუმცა დღეს ვინცა ხარ, რაც ოდეს გინახავს, ის შენი ფონია  
და რასაც ახლა ქმნი, მომავლის ბარხანით, სულ თან გამყოლია.  
ყველა დღე, განვლილი, როგორღაც დღითი დღე თითქოს გამქრობია,  
იმ ჰორიზონტიდან უცნობი მგზავრები ქარავენით მოდიან,  
სხვა გზები არ მოჩანს, მას გაჰყვე ბოლომდე, უთუოდ, ჯობია.  
ყოფილა მიზეზი, თუ კი შენ ამქვეყნად ოდეს გიცხოვრია.



# შემცნობითი სამუშაო

## ქართველ მოღვაწეთა ფსევდონიმები

1. ალექსანდრე აბაშელი – ქართველი პოეტი. ნამდვილი სახელი და გვარი – ალექსანდრე ჩოჩია.
2. შიო არაგვისპირელი – ქართველი მწერალი. ნამდვილი სახელი და გვარი – შიო დედაბრიშვილი.
3. ჯორჯ ბალანჩინი – ქართული კლასიკური ბალეტის ფუძემდებელი. ნამდვილი სახელი და გვარი – გიორგი ბალანჩივაძე.
4. ბანოვანი – ქართველი მწერალი ქალი, ნამდვილი სახელი და გვარი – დესპინე გელოვანი.
5. ვასილ ბარნოვი – ქართველი მწერალი, პედაგოგი, საზოგადო მოღვაწე და ქართული ისტორიული რომანის ერთ-ერთი ფუძემდებელი. ნამდვილი სახელი და გვარი – ვასილ ბარნაველი.
6. ბაჩანა – ქართველი პროზაიკოსი, პოეტი და გენიალური ვაჟა-ფშაველას უმცროსი ძმა. ნამდვილი სახელი და გვარი – ნიკოლოზ რაზიკაშვილი.
7. ბესიკი – ქართველი პოეტი და პოლიტიკური მოღვაწე. ნამდვილი სახელი და გვარი – ბესარიონ გაბაშვილი.
8. ესტატე ბოსლეველი – ქართველი პუბლიცისტი და კრიტიკოსი. ნამდვილი გვარი – მჭედლიძე.
9. ბუმერანგი – ქართველი პოეტი და პროზაიკოსი. ნამდვილი სახელი და გვარი – ალიო მირცხულავა.
10. ნიკოლოზ გაბაონი – ქართველი ისტორიკოსი, აღმოსავლეთმცოდნე და მწერალი. ნამდვილი სახელი და გვარი – ვალერიან გაბაშვილი.
11. განდევანი – ქართველი პოეტი და პროზაიკოსი ქალი. ნამდვილი სახელი და გვარი – დომინიკა ერისთავი.
12. გარიყული – მწერალი და საზოგადო მოღვაწე ქალი. ნამდვილი სახელი და გვარი – მარიამ თათეიშვილი.
13. ტერენტი გრანელი – ქართველი პოეტი. ნამდვილი გვარი – კვიციანი.
14. იოსებ გრიშაშვილი – ქართველი პოეტი და საზოგადო მოღვაწე. ნამდვილი გვარი – მამულაშვილი.
15. დია ჩიანელი – ქართველი მწერალი. ნამდვილი სახელი და გვარი – დავით ჩხეიძე.
16. იროდიონ ევდოშვილი – ქართველი მწერალი. ნამდვილი გვარი – ხოსიტაშვილი.
17. ია ეკალაძე – პუბლიცისტი, მწერალი და საზოგადო მოღვაწე. ნამდვილი სახელი და გვარი – იაკობ ცინცაძე.
18. ალექსი ელბაქიძე – ქართველი მწერალი და ქართული კრიტიკული რეალზმის ერთ-ერთი ფუძემდებელი. ნამდვილი სახელი და გვარი – ლავრენტი არდაზიანი.
19. სანდრო ეული – ქართველი პოეტი. ნამდვილი სახელი და გვარი – ალექსანდრე ქურიძე.
20. ვაჟა-ფშაველა – ქართული ლიტერატურის უდიდესი კლასიკოსი. ნამდვილი სახელი და გვარი – ლუკა რაზიკაშვილი.
21. ვარაზი – ქართველი ფერმწერი, რომელმაც ქართულ მხატვრობაში პირველმა გამოიყენა კოლაჟის ტექნიკა. ნამდვილი სახელი და გვარი – ავთანდილ ვარაზიშვილი.
22. იეთიმ გურჯი – სახალხო მელექსე და ლოტბარი. ნამდვილი სახელი და გვარი – იეთიმ დაბლიშვილი.
23. კოლხიდელი – ქართველი პოეტი და საზოგადო მოღვაწე. ნამდვილი სახელი და გვარი – გრიგოლ დადიანი.
24. მარიჯანი – ქართველი პროზაიკოსი და პოეტი ქალი. ნამდვილი სახელი და გვარი – მარიამ ალექსიძე-ტყემალაძე.
25. კულა გლდანელი – უძლიერესი ქართველი ფალავანი. ნამდვილი სახელი და გვარი – ივანე ყირიმელაშვილი.
26. დუტუ მეგრელი – პოეტი, მწერალი და საზოგადო მოღვაწე. ნამდვილი სახელი და გვარი – დიმიტრი ხოშტარია.
27. ნიკოლოზ მინიშვილი – ქართველი პოეტი და „ცისფერყანელთა“ ერთ-ერთი აქტიური წევრი. ნამდვილი სახელი და გვარი – ნიკოლოზ სირბილაძე.
28. შიო მღვიმელი – ქართველი მწერალი. ნამდვილი გვარი – ქუჩუკაშვილი.
29. ეგნატე ნინოშვილი – ქართველი მწერალი. ნამდვილი გვარი – ინგოროყვა.
30. დიმიტრი მაჩხანელი – ქართველი მწერალი და პუბლიცისტი. ნამდვილი გვარი – ნადირაძე.

## ქართველები, რომლებმაც ამერიკას 5 დარგი შეუქმნეს

1. გიორგი მაჩაბელი – პარფიუმერიის წარმოების ფუძემდებელი და დიდი პარფიუმერული საზოგადოების დამაარსებელი ამერიკაში 1920-იან წლებში. პროფესიით ქიმიკოსი, ასევე, ეწეოდა პოლიტიკურ საქმიანობას. ამერიკაში ცნობილი გახდა პარფიუმერიის პრინციპის სახელით. ამიტომ, პრინცი გიორგი მაჩაბელად იწოდებოდა.
2. ალექსანდრე ქართველიშვილი – ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო ავიაციის ფუძემდებელი. პარიზის ავიაციის საინჟინრო ფაკულტეტზე სწავლისას მისმა შექმნილმა ერთ-ერთმა თვითმფრინავმა სიჩქარის მსოფლიო რეკორდი დაამყარა. მის სახელს უკავშირდება, ასევე, ლითონის პირველი თვითმფრინავისა და, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, მეორე მსოფლიო ომში შტატებისთვის გამარჯვების მომტანი ბომბდამშენის შექმნა, რომელიც დღემდე მიიჩნევა მსოფლიო სამხედრო ავიაციაში სამაგალითო ნიმუშად. ალექსანდრე ქართველს ავიაციის ისტორიაში შეტანილი წვლილისთვის აშშ-ის მეცნიერების ეროვნული მედალი გადასცეს.
3. გრიგოლ კობახიძე, იგივე ჯორჯ კობი (1883-1967 წწ.) მან შეერთებულ შტატებს შეუქმნა სამედიცინო მინის მრეწველობა, ნაძვის ხის მინის სანთლები და ნაძვის ხის სათამაშოების წარმოება. 1919 წელს საკუთარი ქარხანა გახსნა მასაჩუსეტსში, რომელიც 1922 წლიდან დღემდე ფუნქციონირებს. კომპანიას პრესტიჟს მატებდა გიორგი კობახიძის მიერ დანერგილი 70-მდე გამოგონება და უნიკალური პატენტი. მან გამოიგონა წყალგამძლე ცემენტი და ზემდგრადი მინა-ბლოკი. ის პირველი ქართველი მულტიმილიონერი იყო ამერიკაში. მან, ასევე, შექმნა ქიმიური სითხით სავსე ელექტროსანთლები, რომლებმაც შეცვალეს ხანძარსაში, მანამდე ნაძვის ხეზე ასანთები ნამდვილი სანთლები. „კობი – ეს შობაა.“ – ეწერა ნაძვის ხის სათამაშოებზე.
4. გიორგი ბალანჩივაძე – იგივე ჯორჯ ბალანჩინი (1904-1983 წწ.) იყო ამერიკელი-ქართველი ბალეტმასტერი, ამერიკის შეერთებული შტატების ეროვნული კლასიკური ბალეტის ფუძემდებელი, მთელ მსოფლიოში აღიარებული თანამედროვეობის უდიდეს ქორეოგრაფად.
5. კონსტანტინე (კონი) სიდამონ ერისთავი (1930-2012 წწ.) – ნიუ-იორკის ქართველი ვიცე-მერი. გაზეთი „ნიუ იორკ თაიმსი“ წერდა: „ის ერთ-ერთი იმ ლიდერთაგან იყო, რომელიც ერთდროულად ეფექტური მმართველიც გახლდათ და ძალზე პოპულარული წინამძღოლიც. ღირსეული ადამიანი უმნიშვნელო რეპუტაციით, უნაკლო ლოგიკით და საოცრად მომხიბლავი.“  
სწორედ კონი ერისთავის დამსახურებაა, რომ დღეს ნიუ-იორკს სუფთა წყალი მიეწოდება და მის შემოგარენში არა მარტო წყლები, არამედ მინა, ნიადაგი და მთელი გარემო დაცულია. მისი პატრონაჟით დამტკიცებული პროექტები ქალაქში ჯერ კიდევ მუშაობს. კონსტანტინე ერისთავმა 1994 წელს დააარსა ცნობილი ორგანიზაცია „საქართველოს ამერიკელი მეგობრები“, რომელმაც დიდი დახმარება გაუწია ჩვენს ერს საგანმანათლებლო, სამედიცინო და ჰუმანიტარული კუთხით და ეს დახმარება დღემდე გრძელდება.



# იუბილარი

2024 წლის 29 მაისს, ხაშურის საბიბლიოთეკო გაერთიანების ორგანიზებით სამუსიკო სკოლის ახალგაზრდულ სივრცეში მოეწყო ფერმწერისა და მუსიკოსის, მხატვართა კავშირის წევრის რევაზ კომპაძის ნამუშევრების გამოფენა-გაყიდვა.

გამოფენის დასასრულს სამუსიკო სკოლის სააქტო დარბაზში მისი 75 წლის საიუბილეო საღამო გაიმართა.

საღამო გახსნა საბიბლიოთეკო გაერთიანების მმართველმა ქ-ნ კლარა გელაშვილმა. მოწვეულმა სტუმარმა – საქართველოს მხატვართა კავშირის თავმჯდომარემ ბ-ნ გურამ ცერცვაძემ ამომწურავად ისაუბრა რეზო კომპაძის, როგორც მხატვრის შემოქმედებითი გზისა და მოღვაწეობის შესახებ.

დარბაზის მონიტორზე ერთმანეთს ცვლიდა საზღვარგარეთ მოღვაწე მუსიკოს-შემსრულებელთა საიუბილეო მოლოცვები. ადგილობრივი მომღერლების მიერ შესრულებული იქნა სიმღერები.



# თეატრი და ბავშვები

## „დარაბებს მიღმა გაზაფხულია...“

„ცოდვიანი დავიბადე ამ ქვეყანაზე. ჩემს სიცოცხლეს დედაჩემის სიკვდილი დასჭირდა. თვითონ კი ჩემს შვილს განაჩენი გამოვუტანე და საყვარელ გოგონას სული დავუსახიჩრე! როდის ხდება ეს? ერთ მშვენიერ დღეს საკუთარ თავში ღორს რომ აღმოაჩენ? როდის ვხდებით პირუტყვები?“

მილიონობით ნიღაბს ვიზომავთ და ბოლოს ყველაზე ყალბს, ყველაზე მახინჯს ამოვიჩრევთ ხოლმე და ისე გვჩვენება ეგ ოხერი, რომ კანინად გინდა აიდლიზო სახიდან, მაგრამ აღარ შეგნევს ამისი ძალა და ღონე. ადამიანს ხომ სინაზის, სიყვარულის უზარმაზარი მარაგი აქვს დაგუბებული მკერდში. სად მოვახერხებთ მისი ჩატკეპნა, რომელ სარდაფებში გამოვამწყვდიეთ!“



რეზო ჩხიკვიშვილი და ეკა ქუთათელაძე

ქართველ მაყურებელს დღემდე ახსოვს სინანულით სავსე, დამაფიქრებელი მონოლოგი ლაშა თაბუკაშვილის პიესის „დარაბებს მიღმა გაზაფხულია“ მიხედვით დადგმული ამავე სახელწოდების სპექტაკლიდან, რომელმაც მეტეორივით გაიფლვა გასული საუკუნის 80-ანი წლების დასაწყისში ახმეტელის

სახელობის თეატრის სცენაზე და, ზოგადად, ქართული თეატრის სამყაროში. პრემიერის შემდეგ შთაბეჭდილებებით აღტაცებული სრულიად საქართველო მთავარი როლის შემსრულებლის, 22 წლის რეზო ჩხიკვიშვილის შესახებ საუბრობდა, რომლის ლომის წილი იდო სპექტაკლის წარმატებაში. სწორედ აქ გაიბრწყინა პირველად რეზოს ნიჭმა და ეს დებიუტი მისი მომავალი სამსახიობო წარმატებების საწინდარი გახდა.

რეზოსა (კოკა) და ეკა ქუთათელაძის (ნინიკო) უშუალო, გულწრფელმა შესრულებამ მაყურებლის გულის გულამდე მიიტანა ახალგაზრდული დაუფიქრებლობით ჩადენილი შეცდომებით გამოწვეული ტკივილი, რომელიც, არც თუ იშვიათად, ძიძიმე დაღად გაჰყვება ადამიანის ცხოვრებას.

ახლახან კი, 13 მაისს, ხაშურში, 34 წლის შემდეგ ყველასათვის საყვარელი სპექტაკლის განახლებული ვერსიის მაყურებელთა შორის აღმოვჩნდი, რომელიც ბავშვთა და მოზარდთა თეატრალურმა დასმა „აკვარიუმი“ წარმოადგინა. ერთი

შეხვედით არა საბავშვო თემატიკის, თანამედროვეობას მორგებული სცენარი ზედმინენით ზუსტად ჰქონდათ გათავისებული მოზარდებს, რომელთა გამართული მეტყველება, არტისტიზმი და გმირების სულიერი სამყაროს წარმოჩენა პროფესიონალი მსახიობებისას არჩამოუვარდებოდა. ეს ყველაფერი კი, მათი ხელმძღვანელის, რეჟისორისა და სცენარის ავტორის ეკატერინე ბაქრაძის კოლოსალური შრომის შედეგია.



ეკას ბავშვობამ ჩემ თვალწინ განვლო, პოეტური აღმაფრენითა და ორგანული არტისტიზმით სავსემ. მისი არაერთი საოცარი სტრიქონის მომსწრე იყო ჩემი ოჯახი, ჩემს მამამთილთან, ცნობილ ენათმეცნიერთან ალექსანდრე (საშა) ლლონტთან ერთად. წლების შემდეგ კი, გამორჩეული ხელწერილს მქონე რეჟისორი, სცენარისტი და პედაგოგი ვიხილე ეკას სახით, რომელიც უკვე ათეული წელია, სწორ მეტყველებას, მხატვრულ კითხვასა და პოეზიას აზიარებს მოზარდებს, სცენის მტვერთან ერთად. და ამ ყველაფერს საკუთარ სახლში, ყოველგვარი საჭირო ინვენტარისა და

სასცენო მონყობილობის გარეშე, მარტო უძღვება. მისი ენერგიულობისა და თავდადებული შრომის შედეგია ის, რომ მის მიერ გამოძენილი „აკვარიუმი“ საქართველოს არაერთი თეატრალური ფესტივალის წარმატებული მონაწილე და საუკეთესო ნომინაციების მფლობელია.

სპექტაკლის „აკვარიუმისეულ“ ვერსიაში კოკა თეატრალური უნივერსიტეტის სტუდენტია, რომლის ყველაზე „საშინელი როლი“ საყვარელი გოგონას მიმართ მიყენებული სულიერი და მორალური ტკივილია. ნინიკო კი ინგლისური ენის მომავალი სპეციალისტია. თავიანთ როლს მორგებული ნორჩი მსახიობებიდან მე ელენე მულაძეს (ნინიკო)



და გიორგი ბაქრაძეს (კოკა) გამოვყოფდი. ასევე, საინტერესოა გუჯა გოგალაძის მიერ ნუნკი კირილეს როლის სახასიათო შესრულება.

„აკვარიუმის“ სპექტაკლს განსხვავებული ელფერი შესძინა რეჟისორის მიერ მოფიქრებულმა მიზანსცენებმა, რომელთა შორის აღსანიშნავია კოკასა და მისი გარდაცვლილი დედის სიზმარში გასაუბრება. პიესის მთავარი ფაბულა: დარაბებს მომდგარი გაზაფხული, განსხვავებით პიესისგან, რეჟისორმა დედის სულს ათქმევინა:



„დარაბები გამოალე, კოკა და ღრმად ჩაისუნთქე, დარაბებს მიღმა ხომ გაზაფხულია!“

„აკვარიუმის“ მსახიობების მიერ წარმოდგენილი ეს დაუფინყარი და ყველასათვის ნაცნობი სპექტაკლი არანაკლები წარმატებითა და შთაბეჭდილებით დაიმკვიდრებს ადგილს მაყურებლის გულში, როგორც ეს 1981 წელს მოხდა.

„აკვარიუმს“ და მის ხელმძღვანელს მათი შრომის სათანადოდ დაფასებასა და ხელშეწყობას ვუსურვებ. წარმატება კი, ზღვასავით უღვევი აქვთ, რა ხანია...

**ქეთევან გოდერძიშვილი** – ფილოლოგიის დოქტორი, ენათმეცნიერი, ონომასტიკოსი, ქეთევან დედოფლის საზოგადოების გამგეობის წევრი